სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“

ანგარიში
2023 წლის შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზის შედეგებზე

აპრილი, 2024

MOORE

MOORE abc, LLC
2, Davit Gamrekeli Street,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

აუდიტორთა ანგარიში ორგანიზაციის შესყიდვების კანონმდებლობასთან ანალიზის შედეგებზე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ხელმძღვანელობას

1. შემოკლებანი

1.1 კომპანია - „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

1.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, *ან* კანონი - საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 20 აპრილს მიღებული კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია.

1.3 სახელმწიფო შესყიდვა - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის[1] განმარტების მიხედვით კომპანიის მიერ განხორციელებილი შესყიდვა.

1.4. ელექტრონული სისტემა - სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პორტალი https://tenders.procurement.gov.ge

1.5. საანგარიშო წელი *ან* საანგარიშო წლის პერიოდი - პერიოდი 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს აუდიტის მასშტაბს.

2. შემაჯამებელი დასკვნა

შემოწმდა კომპანიის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული შესყიდვების დაახლოებით 80%. შეიძლება დადასტურებით ითქვას, რომ კომპანიის მიერ საანგარიშო წლის პერიოდში განხორციელებული შესყიდვები არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის ფაქტებს.

3. აუდიტის მიზანი და მასშტაბი

3.1 აუდიტის მიზანი

კომპანიის მიერ საანგარიშო წლის პერიოდში განხორციელებული შესყიდვების ანალიზი, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან მიმართებაში რისკების, შეუსაბამობების ან ნაკლოვანებების დადგენის და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

3.2 აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს კომპანიის მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები („საანგარიშო წელი“).

3.3 აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, რომ კომპანიას მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე.

[1] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

4. პასუხისმგებლობები. აუდიტის ფორმა

4.1 კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2023 წელს კომპანიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია აუდიტორისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

4.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.
აღნიშნული სტანდარტით მიხედვით, აუდიტორის სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შესაფასებელი საქმიანობის შესახებ.

შენიშვნა: აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს კომპანიის მიერ 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი.

4.3 აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

5. აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა

კომპანია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 23 დეკემბრის „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად[2]. „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" სტატუსი კომპანიას 2013 წლის 25 დეკემბერს მიენიჭა. კომპანია „სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენებისგან დამოუკიდებელი მაუწყებელია, რომელიც საზოგადოებისგან ფინანსდება და მის წინაშეა ანგარიშვალდებული... პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და შემეცნებით პროდუქციას აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი მომხმარებელს ტელევიზიის, რადიოს და ინტერნეტის საშუალებით აწვდის..“[3]

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოები არიან სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის დებულებით[4]. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოები იღებენ კომპანიის შესყიდვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ან/და გამოცემენ ბრძანებებს.

კომპანიის ვებპორტალის (https://ajaratv.ge/) გვერდებზე „კონკურსები“ (https://ajaratv.ge/management/documents?category_id=4) და „მაუწყებლის მენეჯმენტი“ (https://ajaratv.ge/management/documents) წარმოდგენილია შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

[2] კანონი მაუწყებლობის შესახებ, თავი III[I]
[3] წყარო: კომპანიის ვებგვერდი, https://ajaratv.ge/content/6
[4] საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ, თავი III[I], მუხლი 35[3]

კომპანიის შესყიდვების სამსახურის ამოცანაა ოპერატიულად და ეფექტიანად დააკმაყოფილოს კომპანიის შესყიდვების მოთხოვნილებები და ამ მიზნით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები, რომელიც რეგულირდება და განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიხედვით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა[5].

სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კომპანიის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება და კომპანიის საკუთარი სახსრები.

აუდიტის პროცესში გადაიხედა კომპანიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში 2023 წლის პერიოდში დაფიქსირებული შესყიდვები, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საშუალებით: ელექტრონული ტენდერი (30(სახელმწიფო ბიუჯეტი)/0(საკუთარი სახსრები)), კონსოლიდირებული ტენდერი (27 (სახელმწიფო ბიუჯეტი)/0), გამარტივებული შესყიდვა (152(სახელმწიფო ბიუჯეტი)/99(საკუთარი სახსრები).

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით (დეტალურად განხილურლი შესყიდვების ჩამონათვალი იხ. დანართში # 1)

6. ძირითადი ტექსტი

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებს განსაზღვრავს **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“** 2005 წლის 20 აპრილის საქართველოს კანონი და შემდეგი კანონქვემდებარე და საკანონმდებლო დოკუმენტები:

- **„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება#9
- **„სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება #55.
- **„შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება #2
- **„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება #12
- **„სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის ბრძანება #27
- **„გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება #13.

ასევე:

- **„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“** 2017 წლის 21 აპრილის საქართველოს კანონი

კანონის შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები

6.1

კრიტერიუმი:

1. „სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა“[6]
2. „თუ ... კერძო სამართლის იურიდიული პირი ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმას აირჩევს და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ხელმოწერას ან/და შტამპს საჭიროებს, სავალდებულოა ამ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა.“[7]

[5] საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 1, პუნქტი 3[1], ქვეპუნქტი „მ“
[6] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, მუხლი 2, პუნქტი ა
[7] საქ. კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ, მუხლი 3, პ.3

გამოვლენილი გარემოებები

კომპანიის მიერ საანგარიშო წლის პერიოდში მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რომლებსაც კანონის შესაბამისად მხარეები ხელს აწერენ ელექტრონულად, ასევე თან ახლავს ხელმოწერის თარიღი (როგორც წესი, ხელშეკრულების პირველ გვერდზე, მარჯვენა ზედა კუთხეში), რომელიც არ ემთხვეა მხარეების ან ერთერთი მხარის ციფრული ხელმოწერის თარიღს.

ასეთი ხელშეკრულებებია: # 02-22/36 (CMR230030527); #02-22/38 (CMR230034133); #02-22/67 (CMR230042831); #02-22/68 (CMR230042798); #02-22/68 (CMR230042798); 02-22/70 (CMR230047468); #02-22/71 (CMR230047468); #02-22/129 (CMR230084173); #02-22/182 (CMR230105790); #02-22/183 (CMR230105791); #02-22/252 (CMR230138946); #02-22/268 (CMR230144831); #02-22/299 (CMR230164483); #02-22/312 (CMR230170327);

კომპანიის პასუხი/კომენტარი/ახსნა-განმარტება

იყო რიგი შემთხვევები როდესაც მომწოდებელი დროულად ვერ აწერდა ხელს. ხელშეკრულების მოქმედების თარიღი კანონის შესაბამისად აითვლებოდა ხელმოწერის თარიღიდან.

დასკვნა

კომპანიის კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით ეხმიანება შესყიდვების სააგენტოს პოზიციას, რომ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დაამოწმებს/დაადასტურებს მას ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, თუმცა სააგენტოს ასევე აქვს ამ საკითხთან მოსაზრება, რომ შეიძლება გამოვლინდეს „პრაქტიკული პრობლემები“ ან მხარეებს შორის „უხერხულობის“ მომენტი გაჩნდეს.
როგორც ცნობილია, 2019 წლის 1 იანვრიდან, იმ პირებისა და ორგანიზაციებისთვის, ვისაც ადმინისტრაციულ ორგანოებთან ბიზნეს/საქმიანი ურთიერთობა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით უწევს, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღებისას, ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა სავალდებულოა. შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების თარიღის მინიშნება ტექსტში, რაც ხელშეკრულების მატერიალურად ხელმოწერის ატრიბუტიკაა, ხელშეკრულების გაციფრულების დროს აღარ უნდა იყოს, რომ არ მოვიდეს წინააღმდეგობაში როგორც ტენდერის პროცესთან დაკავშირებულ თარიღებთან/ვადებთან, ასევე ხელშეკრულების პირობებთან (მოქმედების ვადა, შესრულების ვადა და ა.შ.).
ტექნიკუარად საკითხი გვარდება, თუ მხარეები ხელშეკრულებას იმავე დღეს ამოწმებენ ელექტრონულად, რა თარიღიც მითთითებულია თავში. მაგრამ თუ ხდება აცდენა, მაშინ ეს ორი თარიღი კონფლიქტში მოდის ერთმანეთთან.

რეკომენდაცია

კომპანიას რეკომენდაციას ვუწევ ელექტრონული ტენდერების გამარჯვებულ პრეტენდენტებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებში არ გამოიყენოს თარიღი და ხელშეკრულების ტექსტში შესაბამისი ცვლილება შეიტანოს, ისე, როგორც ეს მიღებული პრაქტიკაა გამარტივებული შესყიდვების დროს გაფორმებულ ხელშეკრულებაში;

გთხოვთ გაითვალისწინოთ შესყიდვების სააგენტოს იგივე შინაარსის რეკომენდაცია[8]: „ ... სააგენტო შემსყიდველ ორგანიზაციებსა და მიმწოდებლებს მიმართავს რეკომენდაციით, ხელშეკრულების ელექტრონულად დადების შემთხვევაში აღარ მიუთითონ მასში ხელშეკრულების დადების თარიღი. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დაამოწმებს/დაადასტურებს მას ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით“.

6.2

კრიტერიუმი:

[8] „რეკომენდაცია ხელშეკრულების ელექტრონულად გაფორმებისას ხელშეკრულების დადების თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით“

კანონის თანახმად[9] სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის ამსახველი დოკუმენტაცია ელექტრონულ სისტემაში დადგენილ ვადაში უნდა აიტვირთოს[10]: შესაბამისი კანონქვემდებარე დოკუმენტაციით განსაზღვრული ჩამონათვლიდან ერთერთი[11] ან რამოდენიმე.

გამოვლენილი გარემოებები

კომპანიის მიერ განხორციელებული შესყიდვების ცალკეულ შემთხვევებში ხელშეკრულების შესრულების ან შეუსრულებლობის ფაქტი არ არის დადგენილ ვადაში ასახული დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვით სისტემაში.

ასეთი ხელშეკრულებებია: #02-22/01 (CMR230002886), #02-22/02 (CMR220170642),# 02-22/03 (CON220000397-00679), #02-22/08 (NAT220026708), #02-22/10 (NAT220026711); 02-22/12 (CON230000464-00009); 02-22/13 (CON220000550-00432); #02-22/16 (CON220000550-00432); 02-22/21 (CON220000408-00012); # 02-22/37 (CON220000358-00352); #02-22/55 (CON220000629-00072); 02-22/56 (CON220000408-00030); #02-22/227 (CON230000308-00132); #02-22/228 (CON230000299-

---

[9] მუხლი 7 პ.გ „ სააგენტოს წარუდგინოს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშები ამ კანონის 22-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად“;

[10] „1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტი რეგისტრირდება CMR-ში, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. **ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია, ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,** ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“). „ და
„4. კონკურსის, ელექტრონული ტენდერის ან კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულების, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტების, ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტის სააგენტოსათვის წარდგენად ჩაითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, შესაბამისად, ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულების ცვლილების ამსახველი დოკუმენტის სისტემის შესაბამის ველში ატვირთვა, რაც უნდა განხორციელდეს, შესაბამისად, **ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია, ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი**
(„შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).“ და
„4 [1] . ხელშეკრულების ეტაპობრივი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია, შესაბამისად, სისტემის ან CMR-ის შესაბამის ველში ტვირთავს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ასახავს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას (არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულების კონკრეტული ეტაპის შესრულებიდან/შეუსრულებლობიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.“
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება № 2; 2011 წლის 10 თებერვალი, მუხლი 5.

[11] 1. ე[6]) **ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია** – ნებისმიერი
დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების
შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან (მათ შორის, მიღება-ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშფაქტურა,
ხელშეკრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის დასკვნა, ექსპერტიზის დასკვნა, კორესპონდენცია, ფოტოსურათი და სხვ.);
მუხლი 2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება № 2; 2011 წლის 10 თებერვალი.

00123); 02-22/239 (CON230000299-00123); #02-22/303 (CMR230164996); #02-22/304 (CMR230164996); #02-22/309 (CMR230165028).

დასკვნა

შესყიდვების სამსახური მიერ ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებების შესრულების/დასრულების ამსახველი დოკუმენტაციის (ყოველთვიური/შემაჯამებელი ანგარიშ-ფაქტურები/სასაქონლო ზედნადებები; მიღება-ჩაბარების აქტები და ა.შ.) განსაზღვრულ ვადებში არ ატვირთვა ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო რეგულაციებს.

რეკომენდაცია

კომპანიამ უნდა მოახდინოს ელექტორნულ სისტემაში ხელშეკრულებების შესრულების/დასრულების ამსახველი ინფორმაციის დროული (კანონით გათვალისწინებული) და რეგულარული/სისტემატური განახლება და უზრუნველყოს ხელსეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა და ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია; ასევე, მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).

ედუარდი აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-316971

თბილისი, საქართველო
თარიღი: 19 აპრილი, 2024 წელი